დასკვნა:**დ12. 3723359001**
თარიღი:**25/12/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ

საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2023 წლის 22 დეკემბერს განიხილა :

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

კომისიამ აღნიშნა,რომ ძირითად მუხლებში დაემატა ახალი ქვეპროგრამები და გაიზარდა თანადაფინანსება:

მუხლი 4. ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირების დახმარება (პროგრამული კოდი 06.01.04) ბ) და გ) ქვეპუნქტებში გაიზარდა დაფინანსება და დაემატა ვ) ქვეპუნქტი.

მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06.02.04). ასევე გაიზარდა თანადაფინანსება.

1. ავთისებიანი სიმსივნის მქონე პირებისთვის მედიკამნტების (ზომეტა) თანადაფინანსება,თანხის ოდენობა განისაზღვრა წლის განმავლობაში ,არაუმეტეს 1000 ლარისა.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული,კეთილთვისებიანი სიმსივნით ,ან/და დაუდგენელი დიაგნოზის მქონე პირებისათვის (სამედიცინო მომსახურება,გამოკვლვები) საქართველოს ტერიტორაზე რეგისტრირებულ,სამედიცინო დაწესებულებებში,სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბოლო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებული(გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირებისათვის,ექიმის დანიშნულებით,წელიწადში ერთხელ ,მოთხოვნის შესაბამისად, PET/CT-პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის თანადაფიფნასება,.

5) ასევე გაზრდილია აუტისტური სპექტრის ქვეპროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა და ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობის მოცულობა.

კომისიამ აღნიშნა,რომ პროექტში არსებობს ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რომელზედაც იმსჯელა კომისიის სამუშაო ჯგუფმა და წინადადებით მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე კორექტირებული ვარიანტის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია მხარს დაუჭერს პროექტს.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი